შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 07.02.2025

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Microsoft Teams -ის გამოყენებით 2025 წლის 7 თებერვალს, წარმომადგენლობითი საბჭოს დებულების მე-10, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად.

სხდომას ესწრებოდნენ

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. ეკა ლუაშვილი (საბჭოს თავმჯდომარე);
2. ივანე ჩერქეზიშვილი (საბჭოს წევრი);
3. დავით ყიფიანი (საბჭოს წევრი);
4. ავთანდილ გაგნიძე (საბჭოს წევრი, პროფესორი);
5. მარინე ჩაგელიშვილი-ურუმაშვილი (საბჭოს წევრი, პროფესორი);
6. გიორგი ძაგნიძე (საბჭოს წევრი, ასოცირებული პროფესორი);
7. თამარი ხუციშვილი (საბჭოს წევრი, სტუდენტი);
8. სალომე ზაალიშვილი (საბჭოს წევრი, სტუდენტი);
9. ლელა გოგინავა (საბჭოს წევრი, სტუდენტი);
10. ანიშა შანკარ ჰინგანეს (საბჭოს წევრი, სუტდენტი);
11. ანი კოსტავა (საბჭოს მდივანი).

კვორუმი შედგა. სხდომა გადაწყვეტილებისუნარიანია.

მოწვეული პირები:

- ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
- ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი;
- განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებში;
- სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. 2025-2026 სასწავლო წელს ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და სამაგისტრო გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;
2. 2025-2026 სასწავლო წლის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და მაგისტრატურის გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;
3. 2025-2026 სასწავლო წლის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და მაგისტრატურის გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების ანკეტა-კითხვარის განხილვა და დამტკიცება;

გადაწყვეტილება

წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილა შესაბამისი ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი წინადადებები 2025–2026 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და სამაგისტრო გამოცდებისათვის კოეფიციენტების განაწილების შესახებ და **ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარები**.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 10
მოწინააღმდეგე – 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა.

წინამდებარე ოქმში მითითებული დანართები ინახება უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში.

საბჭოს თავმჯდომარე
ეკა ლუაშვილი

საბჭოს მდივანი
ანი კოსტავა